

საკრედიტო სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობები

1. განმარტებები

- 1.1. **დამზღვევი** – სს “საქართველოს ბანკი” (ს/ნ: 204378869).
- 1.2. **მზღვეველი** – სს “სადაზღვევო კომპანია ალდაგი” (ს/ნ: 404476189).
- 1.3. **დაზღვეული** – სს “საქართველოს ბანკის” ოფსეტური იპოთეკური ან სამომხმარებლო სესხის მომხმარებელი ფიზიკური პირი.
- 1.4. **მოსარგებლე** - სს “საქართველოს ბანკი”, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება, წინამდებარე სადაზღვევო პირობების შესაბამისად.
- 1.5. **სადაზღვევო თანხა – მზღვეველის** პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა, ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება **მოსარგებლეზე**.
- 1.6. **მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის შესაბამისი სესხის ძირითადი თანხის დაუფარავი ოდენობა დარიცხული სარგებლისა და ჯარიმის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს ავტომატური დაზღვევის ფარგლებისა.
- 1.7. **სადაზღვევო ანაზღაურება** - მიმდინარე დაუფარავი სესხების ძირითადი თანხის ჯამური ოდენობა, დარიცხული სარგებლისა და ჯარიმის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს **სადაზღვევო თანხისა**.
- 1.8. **სადაზღვევო შემთხვევა – დაზღვეულის** ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის უბედური შემთხვევის შედეგად) გარდაცვალება, რომელიც იფარება წინამდებარე დაზღვევის პირობებით.
- 1.9. **უბედური შემთხვევა** – გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს **დაზღვეულის** გარდაცვალებას.

2. განსაკუთრებული პირობები:

- 2.1. კრედიტების კატეგორიის მიხედვით, ავტომატური დაზღვევის ფარგლები (თანხა, რომელზე ნაკლები სესხის შემთხვევაში მსესხებელი იზღვევა ავტომატურად, ყოველგვარი ანდერაიტერული პროცედურის გარეშე) და შესაბამისად, **მზღვეველის** პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:
 - 2.1.1. სამომხმარებლო სესხებზე - მსესხებლებისთვის, რომელთა ასაკიც **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დროს ნაკლებია 70 წელზე - 20 000 (ოცი ათასი) ლარი;
 - 2.1.2. იპოთეკურ სესხებზე -
 - თუ **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის მომენტისათვის **დაზღვეულის** ასაკი ნაკლებია 55 წელზე - 200 000 (ორასი ათასი) აშშ დოლარი (ან თუ ანაზღაურება უნდა გაიცეს სხვა

ვალუტაში, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას ექვივალენტი სხვა ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

- თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დაზღვეულის ასაკი შეადგენს 55 წელს ან მეტს და ნაკლებია 60 წელზე - 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარია (ან თუ ანაზღაურება უნდა გაიცეს სხვა ვალუტაში, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას ექვივალენტი სხვა ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.)

3. დაფარული რისკები და გამონაკლისები

- 3.1. წინამდებარე პირობებით იზღვევა დამზღვევის იპოთეკური და/ან სამომხმარებლო სესხების პორტფელი, კერძოდ კი, დამზღვევის ფინანსური ინტერესი დაზღვეულის მიმართ. დაფარულ რისკს წარმოადგენს დაზღვეულის გარდაცვალება ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის უბედური შემთხვევის შედეგად), გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ქვემოთ მოცემული მოვლენებით:
 - 3.1.1. ომი, დაპყრობა, უცხოელი მტრების ქმედებები, საომარი მოქმედებები (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია ომი თუ არა), სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მიერ განხორციელებული კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია, ნებისმიერი პირის ქმედებები, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს De Jure ან De Facto ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით.
 - 3.1.2. მაიონიზირებელი გამოსხივება, გარემოს რადიაქტიური დაბინძურება, ბირთვული საწვავის აალება.
 - 3.1.3. დაზღვეულის ნარკოტიული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, მათ შორის, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, თუ დაზღვეული მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას და ადგილი ჰქონდა ავტოსაგზაო შემთხვევას ან თუ მიღებული ალკოჰოლის ზემოქმედებამ გამოიწვია არსებული დაავადების გამწვავება, რაც გახდა დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი.
 - 3.1.4. დაზღვეულის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა, განზრახ თვითდაზიანება.
 - 3.1.5. დაზღვეულის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა ან სხეულის დაზიანება, რომლის პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან დაზღვეულის თანამსახურელები და/ან მემკვიდრეები.
 - 3.1.6. დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ან ამგვარის მცდელობა.
 - 3.1.7. დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობა ან გონების დაბინდვა.
 - 3.1.8. დაზღვეულის მონაწილეობა სამხედრო ან საპოლიციო ოპერაციის ჩატარებაში
 - 3.1.9. დაზღვეულის მონაწილეობა სიჩქარეზე შეჯიბრში ნებისმიერი სახმელეთო, საჰაერო ან საწყალოსნო საშუალებების გამოყენებით.
 - 3.1.10. დაზღვეულის შიდსით დაავადება ან AIV-ით ინფიცირება.
 - 3.1.11. დაზღვეულის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.
 - 3.1.12. დაზღვეულის მიერ სანადლეოს პირობების, აკრობატული ილეთების შესრულება, რეკორდის დამყარება ან ამის მცდელობა.
 - 3.1.13. მშობიარობასთან ან ორსულობასთან მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებული გართულებები
 - 3.1.14. დაზღვეულის მონაწილეობა პროფესიულ სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა).
 - 3.1.15. დაზღვეულის მონაწილეობა შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია.

3.2. ავტომატური დაზღვევის შემთხვევაში **სადაზღვევო ანაზღაურება** არ გაიცემა, თუ **დაზღვეული** გარდაცვალება დაზღვევის მომენტიდან პირველი თორმეტი თვის განმავლობაში და გარდაცვალების მიზეზი უშუალოდ იქნება ისეთი მძიმე დაავადება, რომლიც რისკის წინასწარი შეფასების შემთხვევაში გახდებოდა დაზღვევაზე უარის თქმის ან სტანდარტული სადაზღვევო ტარიფის მკვეთრი მომატების საფუძველი. ამასთან ტარიფის მკვეთრ მომატებაში იგულისხმება სტანდარტული ტარიფისთვის ისეთი ნამატის მიყენება რომელიც შეესაბამება მზღვეველის შეფასების სისტემის (SOLEM/Scor Global Life's underwriting tool) მიხედვით გარდაცვალების რისკის ორას პროცენტზე მეტით გაზრდას.

4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი

4.1. **მზღვეველს** უნდა წარედგინოს გარდაცვალების (**სადაზღვევო შემთხვევის**) დამადასტურებელი ქვემოთ მითითებული დოკუმენტები მაქსიმალურად გონივრულ ვადებში:

4.1.1. **დაზღვეულის** გარდაცვალების მოწმობა;

4.1.2. უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი სამედიცინო მოწმობა **დაზღვეულის** გარდაცვალების შესახებ (ფორმა #106ს-4, რომელშიც მითითებული უნდა იყოს **დაზღვეულის** გარდაცვალების/სიკვდილის კონკრეტული დადგენილი მიზეზი, გარდაცვალების თარიღი, ადგილი და **დაზღვეულის** ასაკი), ამასთან, თუ მოწმობა არ შეიცავს ჩამოთვლილ ინფორმაციას, სავალდებულოა, გარდაცვლილის გაკვეთის საფუძველზე შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, სადაც მითითებული იქნება გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი;

4.1.3. უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა; ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ, თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);

4.1.4. კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე **მზღვეველის** მიერ მოთხოვნილი შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.

4.2. **მზღვეველი** ვალდებულია ანაზღაუროს ზარალი წინამდებარე პირობების 4.1 მუხლში მითითებული, **სადაზღვევო შემთხვევის** დამადასტურებელი, ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

4.3. წინამდებარე პირობების 4.1 მუხლში მითითებული, **სადაზღვევო შემთხვევის** დამადასტურებელი, ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემთხვევა არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ განხილვას და ზარალი არ ანაზღაურდება.

4.4. **მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო ანაზღაურებაზე** მოტივირებული უარის თქმის შემთხვევაში, **დამზღვევის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება **დაზღვეულის** მემკვიდრეების ვალდებულებად რჩება. ამგვარ შემთხვევებში, **დაზღვეულის** მემკვიდრეებს არ აქვთ უფლება მოთხოვონ **მზღვეველს** **სადაზღვევო ანაზღაურება**. **სადაზღვევო ანაზღაურებაზე** განაცხადის გაკეთება და **სადაზღვევო ანაზღაურების** მოთხოვნა მხოლოდ **მოსარგებლის** უფლებამოსილებათაა.

4.5. **დაზღვეულის** მემკვიდრეები თავისუფლდებიან **დამზღვევის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან **მზღვეველის** მიერ **დამზღვევზე (მოსარგებლეზე)** გაცემული **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობით (რაც გულისხმობს მხოლოდ გარდაცვალების მომენტისათვის დაფიქსირებულ კრედიტის ძირითად თანხას და არ მოიცავს მიმდინარე დავალიანებაზე დარიცხულ სარგებელსა და ჯარიმებს).

5. დაზღვევის მოქმედება

- 5.1. **დაზღვევა** მოქმედებს **დამზღვევსა** და **დაზღვეულს** შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს **დამზღვევსა** და **მზღვეველს** შორის გაფორმებული ღია პოლისის (დაზღვევის ხელშეკრულების) მოქმედების პერიოდისა.
- 5.2. **მზღვეველი** უფლებამოსილია, დაზღვევა გააუქმოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით **დამზღვევის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას.
- 5.3. დაზღვევის მოქმედება დასრულებულად/შეწყვეტილად ითვლება შემდეგ შემთხვევებში:
 - 5.3.1. **მზღვეველსა** და **დამზღვევს** შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების (ღია პოლისის) მოქმედების ვადის ბოლო დღის 24 საათზე;
 - 5.3.2. **დამზღვევის** მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 5.4. კონკრეტული **დაზღვეულის** მიმართ სადაზღვევო დაფარვა დასრულებულად/შეწყვეტილად ითვლება შემდეგ შემთხვევებში:
 - 5.4.1. **დაზღვეულის** გარდაცვალებისას;
 - 5.4.2. **დაზღვეულის** მიერ დამზღვევისადმი არსებული სასესხო დავალიანების დაფარვისას;
 - 5.4.3. ავტომატური დაზღვევის არსებობისას თუ დაზღვეულს შეუსრულდა 60 წელი იპოთეკური სესხის შემთხვევაში ან 70 წელი სამომხმარებლო სესხის შემთხვევაში და ფაკულტატური დაზღვევა არ განხორციელებულა;
 - 5.4.4. არაუფლებამოსილი მსესხებლის **დაზღვევისას**.